სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N35010401/148

ქ. თბილისი 6 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ „საქართველოს შსს აკადემია“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი პროორექტორის ნინო მინდიაშვილის სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ ვაკანტურ თანამდებობებზე შესარჩევი საჯარო კონკურსის ფარგლებში კანდიდატთა ელექტრონული პროგრამით ტესტირების ჩატარების (საკადრო პროფესიონალური ვარგისიანობის შეფასების ცენტრის მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა - არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ტესტირების ჩატარება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით (შემდგომში - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV კოდი: CPV79600000; CPV79635000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულება ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში N1, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 (ოცი) დეკემბრის ჩათვლით, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში (მომსახურების გაწევის ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება შეტყობინების მიღების დღის შემდგომი დღე).

3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჩასატარებელი ტესტირების რაოდენობა არის არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ტესტირება. თითოეულ ჯერზე გამოსაცდელი კონკურსანტების რაოდენობა არ უნდა იყოს ათზე ნაკლები.

3.3. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი სახით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოთხოვნა (შეკვეთა) იგზავნება „მიმწოდებლის“ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: n.purtseladze@mia.gov.ge ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი მოთხოვნა (შეკვეთა) ითვლება ოფიციალურ მოთხოვნად (შეკვეთად).

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. და 3.2. პუნქტებით განსაზღვრული რაოდენობები შესაძლებელია დაკორექტირდეს ტესტირებაზე გამოცხადებული კონკურსანტების რაოდენობის შესაბამისად.

3.5. შესაძლებელია, ერთი და იგივე კონკურსანტმა ტესტირება გაიაროს რამდენიმეჯერ (ერთი და იგივე პიროვნების მიერ სხვადასხვა საკონკურსო თანამდებობრივ პოზიციაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში).

3.6. მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართზე - ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N4.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება იწარმოებს ეტაპობრივად ან ერთჯერადად, თითოეულ თანამდებობრივ პოზიციაზე, არსებული კანდიდატებისათვის ჩატარებული ტესტირების რაოდენობის გათვალისწინებით, რაზედაც გაფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, რომლის ხელმოწერას „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი. მხარეთა მიერ ხელმოწერილი, „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, იგი წარმოადგენს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და ინვოისს, რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ჩატარებული ტესტირების რაოდენობების მიხედვით, რაც გულისხმობს ერთი და იგივე კონკურსანტის მიერ სხვადასხვა საკონკურსო თანამდებობრივ პოზიციაზე განაცხადის შემოტანის შემთხვევაში, ყველა (ან რამდენიმე) პოზიციაზე ცალ-ცალკე ტესტირების შემთხვევების (ასეთის არსებობისას) ანაზღაურებას, ანუ, 1 ტესტირება - 1 ანაზღაურება, მათ შორის იმ კონკურსანტზეც, რომლებიც მოხსნილი იქნებიან ტესტირებიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ნაცვლად წარმოდგენილ უნდა იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და ინვოისი.

5.4. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 5.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დასრულების შემდეგ არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5. „მიღება-ჩაბარების“ აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, იგი წარმოადგენს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და ინვოისს) წარმოდგენის გარეშე, ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. უზრუნველყოს ელექტრონული პროგრამით ტესტირების პროცესის უზრუნველყოფა, კონკურსანტების შეფასება, კონკურსანტებისთვის ტესტირების შედეგების (კონკურსანტის მიერ მიღებული ქულების) ელექტრონულად გაცნობა ტესტირების დასრულებისთანავე;

6.1.2. დაიცვას „შემსყიდველის“ მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის კონფიდენციალობა. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც;

6.1.3. უზრუნველყოს ელექტრონული პროგრამით ტესტირების ჩატარება „შემსყიდველის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ დამტკიცებული ტესტების მიხედვით.

6.1.4. უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გადაცემული ტესტების სათანადო ელექტრონულ პროგრამაში ჩატვირთვა.
6.1.5. უზრუნველყოს კონკურსანტთა გადანაწილება ჯგუფების მიხედვით, თანამდებობების (პოზიციების) შესაბამისად.
6.1.6. ელექტრონული პროგრამით ტესტირების დამთავრებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში გადასცეს „შემსყიდველს“ ტესტირების საბოლოო შედეგები (შედეგები უნდა ასახავდეს თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე კანდიდატთა შედეგების გრადაციას მიღებულ ქულათა კლებადობის პრინციპით) ელექტრონულ ფორმატში, ხოლო „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში - ქაღალდის მატარებლებზეც;
6.1.7. ტესტირების პროცესის გამჭვირვალეობისა და ყველა კონკურსანტისთვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად, მიიღოს ზომები კონკურსანტთა მიერ დისციპლინის განუხრელად დასაცავად, რაც გულისხმობს შემდგომ აკრძალვებს:
6.1.7.1. ჩართული მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა.
6.1.7.2. ტესტირებაზე დამხმარე მასალის - კონსპექტიდან, ან წინასწარ მომზადებული სხვა მასალიდან გადაწერა;
6.1.7.3. სხვისთვის დახმარების გაწევა ან დახმარების მიღება;
6.1.7.4. ტესტზე მუშაობის დაწყება მითითების გარეშე;
6.1.7.5. საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება.
6.1.8. ტესტირების პროცესში, ამ მუხლის 6.1.7. პუნქტით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, კონკურსანტის მიმართ გამოიყენოს შემდეგი ზომები:
6.1.8.1. ამ მუხლის 6.1.7.3., 6.1.7.4. და 6.1.7.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში - მისცეს კანდიდატს გაფრთხილება.
6.1.8.2. ამ მუხლის 6.1.8.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული წესების განმეორებითი დარღვევის ან აგრეთვე 6.1.7.1. და 6.1.7.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის პირველივე დარღვევის შემთხვევაში - მოხსნას ტესტირებიდან.
6.1.9. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.1.10. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
6.2.2. გადასცეს „მიმწოდებელს“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ დამტკიცებული ტესტები და კონკურსანტთა ერთიანი ელექტრონული ბაზა.
6.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები
7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
7.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
7.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და პერიოდულობის კონტროლი;
7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი
8.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
8.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
8.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
8.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
8.2.3. ეპიდემიები;
8.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
8.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
8.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
8.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
8.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
8.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
8.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
8.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით.

9.ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხაერთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის გადახდა.
12.4. ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და/ან საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

13. ხელშეკრულების კონტროლი
13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი გიორგი გოგოლაძე.
13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა
14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
15.2. ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.
15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
15.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
15.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები
17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
17.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
17.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
17.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

17.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.10. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სოციალური მომსახურების სააგენტო ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	სსიპ „საქართველოს შსს აკადემია" ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ.N4 საიდენტიფიკაციო კოდი N209467628 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა 707977151
თამაზ მოდებაძე სააგენტოს დირექტორის მოადგილე	ნინო მინდიაშვილი პროექტორი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ბ. დათუკიშვილი

გ. გოგოლაძე

ა. ვასაძე

დანართი N1

დასახელება	ჩასატარებელი ტესტირების სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა	მომსახურების გაწევის მისამართი
კონკურსანტთა ტესტირება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით	არაუმეტეს 50	8	არაუმეტეს 400	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 20 (ოცი) დეკემბრის ჩათვლით, „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში (მომსახურების გაწევის ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება შეტყობინების მიღების დღის შემდეგი დღე)	ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ.N4
			არაუმეტეს 400 ლარი		

„შემსყიდველი“

თამაზ მოდებაძე
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

ნინო მენდიაშვილი
პროექტორი

06.11.2017 წ.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის 6 ნოემბერს „შემსყიდველის“ საჭიროებისათვის, „შემსყიდველის“ ვაკანტურ თანამდებობებზე შესარჩევი საჯარო კონკურსის ფარგლებში კანდიდატთა ელექტრონული პროგრამით ტესტირების ჩატარების (საკადრო პროფესიონალური ვარგისიანობის შეფასების ცენტრის მომსახურება) გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ N35010401/148 ხელშეკრულებაში *(სსიპ „საქართველოს მშს აკადემია“)*, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე – 8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

სააგენტოს დირექტორის მოადგილე
თამაზ მოდებაძე _____

ლელა მამულაშვილი _____

ბესიკ დათუკიშვილი _____

ავთანდილ ვასაძე _____

გიორგი გოგოლაძე _____